ნატვრის ხე

" ნატვრის ხეო,ნატვრის ხევ,სული ნატვრით ავივსე..."

ხშირად ასე ხდებოდა:ნატვრა ამიხდებოდა!

მზეს ღიმილით ვხვდებოდი და სიცოცხლით ვტკბებოდი...

ცა და მიწა მღეროდა ,სასწაულის მჯეროდა!

ახლაც შენთან მოვედი, თმაჭაღარა პოეტი...

გული ისევ გულობდა –სიჭაბუკე მწყუროდა.

"ნატვრის ხეო,ნატვრის ხევ,სული ცრემლით ავივსე!"

ჩუმად თავი დახარე,ვერაფრით გამახარე:

ქვეყნად თურმე ხდებოდა–ნატვრის ხეც კი ხმებოდა!

1976

სამი ბატონი

... დიახ,მონა ვარ,ჩემს მორჩილებას,

სიამოვნების ნათელი ჰკვებავს,,,

მონა ვარ ჩემდა სასიხარულოდ,

ჩემდა ნუგეშად და ჩემდა ბედად...

ყოველთვის, როცა ვმუშაობ ,ვფიქრობ,

ჟამს გართობისა, თუ ჟამს თრობისა,

მონა ვარ სამი დიდი ბატონის:

ლექსის,მუსიკის და მხატვრობისა!

1975

ჩემი თე–ორია

უნდა ვიფიქროთ,რომ სიყვარული,
არის ოცნების ერთგვარი ფორმა...
ფრთები– მის მაცდურ,მიმზიდველ ფერებს–
უნდა შეასხას ყოველთვის ორმა!

2011

ღამე

ღამეა...ღრმაა უძირო სივრცე,
ცას ვუცქერ, თავი არარად ვიგრძენ...
მთელი კოსმოსი დამადგა თავზე:
იდუმალება და სილამაზე!
"ღმერთი თუ არა–მპყრობელი ცათა,
რა მაკავშირებს ვარსკვლავთა ზღვასთან?"
უცებ მომესმა ძახილი: ნუგზარ!
ძმაკაცს გავხედე–გამექცა მუზა!
თურმე, ძლივს მნახა მისთვის მოცლილი:
დაფრთხა,გაფრინდა ის დალოცვილი!

2011

დ რ ო

" დროს ეშინია პირამიდების"

დროს შენ ვერაფერს გაუგებ,
ტყუილად ჰკარგავ დროს...
სუყველაფერი თან მიაქვს
და არც არაფერს თმობს!

უჩინმაჩინის ქუდი აქვს,
ვერავინ მოჰკრავს თვალს...
დრო მოვა–მთელი ცხოვრება
დაემსგავსება წამს...

ის ზოგჯერ თავსაც იმართლებს,
თითქოსდა გვმატებს წლებს...
სინამდვილეში წლებს გვაკლებს,
თუ გვმატებს–თმაში თეთრს!

მას ვერვინ შევეჯიბრებით:
მეფე,ვეზირი,ყმა...
დრო მოვა– პირამიდებიც,
მტვრად წაჰყვებიან ქარს!

2011

პირამიდები

ღვინის ჭიქების პირთან მიდებით,

ვერ აშენდება პირამიდები!

* * *

ვერას უშველის კარებს ურდული,

თუკი ცხოვრება არის ქურდული!

* * *

ფულიანი პრინცი

პრინცი,რომელსაც ფული აქვს,

ძალიან პრინციფულია!

ფულის ემისია

ვინც დაგეგმა ემისია,

მთელი ფული– ე, მისია!

* * *

გადარია ნაცია,

მისმა კომბინაციამ!

ბედის ვარსკვლავი

შენ რომ არ მყავდე ადამიანო,

ვინ დაინახავს,თუ რარიგ ვბრწყინავ...

თვალს რომ მომაპყრობ,იქნებ არც ვიყო:

მე გავანათე დიდი ხნის წინათ...

მილიონობით სინათლის წლის წინ,

გამოვაგზავნე სხივები შენსკენ...

გამოვარღვიე ღამე და ნისლი

და გავხდი შენი სიცოცხლის მეკვლე!

ვიქნები შენი ბედის ვარსკვლავი,

ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველი...

მარად კეთილი და არა ავი

შენი მფარველი,შენზე მლოცველი...

მინდა სიამით გიძგერდეს გული,

თუ დამიჯერებ და თუ მომისმენ:

ნუ დახვალ მხოლოდ თავჯაღუნული–

ამოიხედე ხანდახან ცისკენ!

2011 16 მაისი

თუ არაფერზე დარდობ–არც გიცხოვრია კარგო!

რამზესი

ეგვიპტეს ჰყავდა რამზესი,

რა ვარსკვლავის და რა მზესი!

გონებით უჭკვიანესი,

უმდიდრეს, ულამაზესი...

2011 17 მაისი

- * *

აგვისტო ისევ ეწვია თბილისს...

მნათობი ჩვეულ სიმაღლეს იჭერს.

მე ეს ლექსები დამქონდა გულით–

ახლა გულიდან ქაღალდზე ვიწერ!

კვლავ მოგონება მეახლა ლურჯი,

სადღაც გაფრენილ,სანუკვარ დღეთა...

მე სიყვარული დამქონდა გულით,

ახლა უბრალოდ,გავამხელ შენთან!

სადღაც იცინის ლამაზი ქალი,

სადღაც პოეტი წარმავალს დარდობს...

მე ეს ლექსები დამქონდა გულით–

ახლა უბრალოდ,ხმამაღლა ვამბობ!

1980

პოეტი

მუდამ ეული,სული გრძნეული.

გზაარეული და მთვარეული...

მისი გული და მისი სხეული,

მარად ყველასგან გამორჩეული...

ზოგჯერ ზღვასავით გაავებული ...

ადიდებული და ამღვრეული!

ლამის ლოცვებად გადაქცეული

გაყვითლებული მისი რვეული!

ბედი ცბიერი,ბედი წყეული,

წიგნის თაროზე მისი " რჩეული."..

მზერა გულგრილი,ანაზდეული–

ლექსის სიყვარულს გადაჩვეული!

რეტრო

შენი თვალების ფერით,
თავს იწონებდა ზეცა.
შენი თვალების ფერი
იებს კაბები ეცვათ...

ლურჯი საღამო დგება,
ნაპირს ეცემა ჩრდილი
და სიზმარივით ჩნდება
მოგონებები ტკბილი!

ვერ გაშორებდი თვალებს–
ვიდექ სიგიჟის ზღვართან...
ეს განცდა ვნებით სავსე,
ვგონებ სიყვარულს ჰგავდა!

ლურჯი საღამო დგება,
მზე იმალება ზღვაში,
ვერ დაგივიწყებ,ვერა,
ვერასდროს გაგცვლი სხვაში!

თეთრი ვარდების კონა.
თამბაქოსფერი თმები,
დაუვიწყარი კოცნა
და გრამაფონის ხმები!

1976

ჯვარცმა

შუაგულ ბრბოში ვიდექი კენტად,
ამატანინეს,აღმართეს ჯვარი...
იმავ ჯვარცმიდან ავმაღლდი ზეცად,
იმავე ჯვარმა ის ბრბო ჰქმნა მკვდარი!

და მერე როცა მიწამეს ღმერთად,
როდესაც მიხვდნენ,რომ ვარ უფალი,
სულ სხვა აღმოჩნდა ეულად, კენტად,
მისთვის ხელახლა გათალეს ჯვარი.

მას–ვისაც ჰქონდა სხვაგვარი ხედვა,
გონიერი და მჭვრეტელი თვალი,
მასაც არგუნეს წამება, ვნება,
კოცონზე დაწვეს ის საცოდავი...

მისიც არავინ აღმოჩნდა მხსნელი,
სიმართლე ჩაჰკლეს ჩემი სახელით...
ორლეანელ ქალს, ღმერთის გაჩენილს,
რა გულით ჰკლავდნენ ანდა რა ხელით?

ო,ძალადობავ,იშვები ბრბოში,
შენი მსხვერპლია ღმერთის რჩეული.
ახლა,წინათ და ყველა დროში

ხარ– ქცევა შურით გამოწვეული!

შუაგულ ბრბოში ვიდექი კენტად,
სადღაც მოწყვიტეს ძალით ფოთოლი...
და ჯვარცმისათვის ვემზადებოდი,
კაცი მართალი,კაცი ობოლი!

1980–2011

ს ი მ ღ ე რ ა

წვეთების ხმა ხშირი წვიმის,
შეასრულებს ცის სოლოს...
გიტარაზე დარჩა სიმი,
ბოლო, ანუ სიმბოლო!

ბოლო სიმის ხმას ვუერთებ,
ცით მოვლენილ ხმათა რიგს...
დრო მოვა და მეც დავიჭერ,
იმ ზეციურ თადარიგს...

ჯერ კი ისევ ვარხევ სიმებს,
ბაფთიანი გიტარის...
ჩემიც უნდა მივუმატო
აკაკის ლექსს–ნეტარის!

მე არასდროს მომბეზრდება,

ამ დალოცვილ სიმთ ჟღერა:

ღმერთი თუა სიყვარული–

სიცოცხლეა სიმღერა!

2011

ნატიფი სული

თითები თლილი,ვით ნაძერწი მიქელანჯელოს,

თვალები მშვიდი,უშფოთველი,ვით აქვს ანგელოსს...

ამ გამოხედვით გამჟღავნდება ნატიფი სული...

სული ,რომელსაც ვერ მისწვდება არსი მზაკვრული,

სული,რომელიც ასე შვენის ჩვენს საქართველოს!

ნატიფი სული ნიშანია დიდი წარსულის,

მრავალ სხეულში გამოვლილი დიდი განძია...

მან შეისრუტა, რაც გზად შეხვდა წმინდა ქართული,

და მიწიერი ცდუნებების ლტოლვა დასძლია...

მსურს,რომ ამ სულმა ძველი ერი კვლავ აჯანმრთელოს!

მიხვრა–მოხვრაში,სიტყვა–პასუხში ის შეიცნობა,

ვისთანაც სახლობს,მის თვალებში მუდამ იგრძნობა...

მრავალი თუმცა მაღალ ზნეობას,ჯიუტად

ჩემობს,

თავის ცხოვრებით უპირველეს ახარებს დემონს...

ნატიფი სული კი წააგავს წმინდა სამრეკლოს!...

სული,რომელიც ასე შვენის ჩვენს საქართველოს!

20011 21 ივნისი

ის მოდა

ყველას გვქონდა ჩვენი საქმე.

ყველას გვქონდა ჩვენი როლი,

მაგრამ ყველაფერზე მეტად

ჩვენ გვიყვარდა როკ–ენ–როლი!

შუბლზე ჩანოშლილი თმები,

გულზე–ჯაჭვები და ჯვრები...

ჰიპები და ბიტნიკები–

ჩვენი სულიერი ძმები.

აკრძალული კონცერტები,

"ისნის"კლუბში "პლანის" ბოლი...

ბაჩი ქიტიაშვილი და

თვით ვალერი კოჩაროვი!

მილიციის მაკრატელი,

ძალით შეკრეჭილი თმები...

პარტიული მუშაკები,

როკ–ენ–როლის დიდი მტრები...

ის მოდა! ის მოდა!

ყველაზე კარგი იყო ის მოდა!

ის მოდა,ის მოდა,

როდესაც როკ–ენ–როლი ისმოდა!

2011

* * *

რასაც ვერ ვამბობ–ვხატავ,

რასაც ვერ ვხატავ–ვამბობ...

გმადლობთ თვალჭრელა ფერებო,

ფრთიანო სიტყვავ,გმადლობთ!

იქნებ გავექცე დუმილს,

შევწვდე უხილავ ზარებს...

ფერად ავენთო დილით,

ლექსად–ჯადოსნურ ღამეს...

ვიჭერ მეგობრის ღიმილს,

ჩემი სიტყვები ართობს:

რასაც ვერ ვამბობ– ვხატავ

, რასაც ვერ ვხატავ–ვამბობ!

1978

* * *

აქეთ პორტი,იქეთ–კორტი,

აქ კი კაფე–კაი პონტი...

შებოლილი თევზი,ლუდი,

ჭერზე– კვალი აბლაბუდის...

ეს გოგო კი ამ ბოლო დროს,

ლამაზდება,არ ჩანს ცუდი...

ნეტავ პატიოსანია ,

თუ ცხოვრება იწყო მრუდი?

ეს მუსიკაც უფრო მოგწონს,

(არ ჩანს მთლად დაბალი დონის...)

გოგონა კი შენსკენ მოდის ,

საცეკვაოდ გიწვევს მგონი!

ბედმა ერთურთს შეგახვედრათ,

სიყვარულის ორი ქურდი...

იტყვი:ჩემო სიჭაბუკევ,

ეს რა უცებ დამიბრუნდი!

2011

* * *

ისევ იმღერებს, იმღერებს გული,

თუნდაც დაიწყოს დღეს ფოთოლცვენა...

სატრფოს დაეძებს ყველა სულდგმული,

სიყვარულს ითხოვს ამ ქვეყნად ყველა!

და შენ ერთადერთს,გეძახი,გელი...

მოგვნატრებია ზეცაში ფრენა,

ყველას თავისი მოგვიხმობს გზები,

მაგრამ სიყვარულს დავეძებთ ყველა!

საოცარია წუთისოფელი...

დააქვს ათასი ფიქრი და ვნება.

მადლობელია სიცოცხლევ შენი–

ვინც სიყვარულით ცოცხლობს და კვდება!

1981

თუკი

თუკი გესიზმრები.

თუკი გელანდები,

თუკი გენატრება ჩემი ხმა...

რატომ გამირბიხარ,

რატომ მემალები,

რატომ გამითეთრე კარგო თმა?

თუკი ჩემი სახე

შენში ისევ ცოცხლობს,

თუკი არ გაუღე გული სხვას...

რატომ გამირბიხარ,

რატომ მემალები,

რატომ გამითეთრე კარგო თმა?

1976

* * *

საღამო გაირინდა ზღვასთან,

თვალები მენატრება შენი...

ცისფერი ზღვა და ზღვისფერი ზეცა,

ზღვა შენი თვალების ფერი!

მივყვები მივიწყებულ ბილიკს,

მდელოზე ამიფრინდა ჩიტი...

წასულა სიყვარულიც ასე,

მიფრინავს,ალბათ სხვასთან მიდის...

შენთან გული დამრჩენია,

შენამდე შორი გზებია...

ალერსი მოგვნატრებია ჩვენ!

ბევრი ცრემლიც დამდენია...

(დარდს ვინ მოთვლის, რამდენია!)

მე კი ისევ გელოდები შენ!

1980

* * *

რახანია მდევდა, უშენობის სევდა,

დიდხანს გეძახოდი:მოდი,მოდი,მოდი!

"დოს" შემდეგ ხომ "რე"–ა,

წვიმის შემდეგ მზეა...

მახსოვს ყველაფერი...ჩვენს სიმღერას ვმღერი!

როგორც თოვლში მთები,გამითეთრდა თმები...

"თუკი გესიზმრები,თუკი გელანდები"...

სიყვარულის კერპთან კვლავ გავიღოთ ხარკი...

კვლავ შენ თვალებს ელის,ანარეკლი სარკის...

და ასეთი ნაზი,და ასეთი კარგი,

არ ხარ დასკარგი!არ ხარ დასაკარგი!

1998

* * *

"დაიხსომეო,"–მეძახის გული,

(გაზაფხულია, სისხლი განახლდა!)

ყველაზე დიდი ცოდვაა შური,

კეთილს სიკეთით უნდა გადახდა!

სიზმარივით ჰქრიან წლები,

რაზე არ გვიმღერია,

ნიჭიერი კაცის მტერი–

საქართველოს მტერია!

1987

ს ა ხ ე ლ ი

მწერალს სჭირდება მკითხველი,

მხატვარს მრავალი მნახველი.

მუსიკოსს ბევრი მსმენელი,

სამივეს ერთად – სახელი!

2011 წლის 13 10,

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

მხატვარს სხვაგვარი სული აქვს,

ბევრიც რომ არ ვთქვა სხვა,

იგი ჩაქაფულს არ ხედავს,

როდესაც უცქერს ცხვარს!

2011.

08. 2008

სდექ, ქართველო! შინ რუსია!

ორგანიზმში ვირუსია!

აჭარა 1995*

ვისაც არა აქვს რაცია

ძლიერ საეჭვო კაცია...

***

მიაჭედა კარებს ნალი...

მაინც გახდა კრიმინალი.

ლეხურა

ჰა, მდინარე ლეხურა!
ვისექსაოდ გლეხურად!

ბეთჰოვენი

წამით მიწას ვეთხოვები...
ჟღერს როდესაც ბეთჰოვენი!

***

პალატა ზედა – ქვედა:
გიჟებს რა შეცვლის ნეტა?

ღია კინო

ჩვენს ქალაქში, ღია ცისქვეშ,
იყო კინოთეატრი.
ისევ იმ დროს გავიხსენებ,
ისევ იმ დროს შევნატრი!
სიბნელეში ფეხაკრეფით,
დავეძებდით ჩვენს ადგილს,
ციდან მთვარე დაგვნათოდა,
გზას გვიკვლევდა ყველა წყვილს.
ეკრანს თვალს არ აცილებდი,
მე ვუცქერდი შენს თვალებს,
მაგ ორ ვარსკვლავს ვადარებდი
ცაში ბრწყინავ ვარსკვლავებს.
თითებზე რომ გეხებოდი,
ჟრუანტელი მივლიდა,
თურმე ცელქი კუბიდონი

გულში ისარს მიყრიდა!
შენ ეს ფილმი ასჯერ მაინც,
მე ერთხელაც ვერ ვნახე...
მასზე როცა საუბრობენ,
მახსენდება ეგ სახე.
გავიხსენებ იმ თბილ დღეებს,
გულში დამდგარ ვარდობას,
წუთებს, წამებს, შენს წამწამებს,
იმ ჩვენს ახალგაზრდობას!
იმ სხვანაირ აღმაფრენას,
დღეს ვერაფერს შევადრი:
ჩვენს ქალაქში საზაფხულო,
იყო კინოთეატრი!

2009

ზამთრის სურათი

(არტისტული ფანტაზია)

ფერი ადევს ქალაქს ნაცრის,
ქარი დაჰქრის ცივი, მკაცრი.
ხორციელი არ ჭაჭანებს,
ძე არ მოსჩანს არსად კაცის.
მთიდან ნამქერს მოაქროლებს
ქარი, ალბათ ხვალ ითოვებს.
თბილ სალონში ჩამსხდარ მძღოლებს,
ქუჩის ძაღლი თვალს აყოლებს.
ვინც ფანჯრიდან უცქერს ყოველს,
უდარდელად გააბოლებს:
სავარძელში ჩაეშვება
და გამოსცემს კვამლის რგოლებს.
მასაც კი აქვს რაღაც დარდი,
მაგრამ დარდებს არ იგროვებს:

ზამთარია, უკვე ბარდნის
რაღას იზამს, რას იღონებს?!
გაიხსენებს ლამაზ ცოლებს,

გაიხსენებს მთავარ როლებს,
ფიქრი - როგორც ციგა - მსბოლელს,
წარსულისკენ მიაქროლებს.

ნუგზარ ერგემლიძე
13.12. 2010

გალექსილი ტრაქტატი რიცხვი 20-ის შესახებ

რიცხვი ოცი ჩვენს ენაში
საოცარი რიცხვია!
ნახეთ, თუ რა თეორია
მასზე გამომიცხვია...
ოცი არის სრულყოფილი,
და ყველაფრის მომცველი...
დამარხული საიდუმლოს
გასაღების მომცემი!
ოცი ბავშვის დაბადება
იყო მშობლის ოც-ნება,
„მამას ჰყავდა ოცი შვილი“-ს
ლექსიც დამემოწმება.
მერე მათი გზის მფარველი
გახლდათ დედის ლოცვანი,
(დედის ლოცვა მაშინაც ჭრის,

როცა შვილი შორს არი).

„ოცი“ კარგად შეფარული

ძევს სიტყვაში „მაკ-ოც-ე“!

ისე კარგად ინიღბება,

გეფიცებით მა-ოც-ებს!

კოცნა, ლოცვა, გაოცება,

საოცრებაც ოცია!

როცა ოცის შესრულდები,

მართლაც მოსალ-ოცია!

როცა სიჭაბუკე მოვა,

აგიტაცებს როს ვნება,

სიყვარულიც გეახლება -

აგიხდება ოც-ნება!

გისურვებენ ხუთჯერ ოც წელს,

განა საკვირველია?

ხუთი ბ-ოც-ა რქაწითელი

ლხინში დასალევია!

მე ამ ლექსში ცოტას ვხუმრობ,

და სიმართლეს ვამბობ თანაც,

გაარჩიოთ, სად რა არის?

აი, თქვენი ამ-ოც-ანა!

P.S. უძველეს დროში

ოცამდე თვლა, უდიდეს

საკრალურ, იდუმალ. ყოვლისმომცველ

ძნელად მისაღწევ ამ-ოც-ანად ითვლებოდა!

ნუგზარ ერგემლიძე

ჩემი აზრით, ამიტომ გვაქვს ქართველებს „ოცობითი“ თვლა: ოცი, ორმოცი, სამოხცი, ოთხმოცი...

ნუგზარ ერგემლიძე

27.08.2010

თოვლიანი დილა

ისეთი თოვლი მოდის,
რომ არ მოსულა წინათ...
შენ კი ჩათბილულ ლოგინს
ვერ შორდები და გძინავს...
პურის მანქანა ქუჩას,
კვალს დაამჩნევს და წავა...
ისეთი პირი უჩანს,
გაგიცივდება ყავა.
ბელურა ცერად მიცქერს,
აზის აივნის რიკულს,
Fm-ზე გადმოსცემენ
მუსიკას ამერიკულს...
ისე უხდება ამ თოვლს,
რომ ჟრუანტელი მივლის...
სტუდიაში ვარ თითქოს -
გახმოვანება მიდის!

1992

კედლის საათი

კედლის საათი რეკავს და რეკავს...
მუშაობს ზუსტად, დინჯად, ტაატით.
არც იგვიანებს, არც ეჩქარება:
მას მხოლოდ დროსთან აქვს მასლაათი.
მასაც თან დასდევს თავისი ბედი,
მაოცებს მისი სულისკვეთება:
ასი წელია და ცოტა მეტიც,
იგი მუშაობს შეუკეთებლად.

შეუჩერებლად ტრიალებს წრეზე,
ორი ისარი: გრძელი და მოკლე.
იცავს ჟამთასვლის უმკაცრეს წესებს:
არც პლატონსა სცნობს და არც სოფოკლეს.
თუმცა კი იცის: მისი დროც მოვა,
გრძნობს, ძველებურად ღამეს ვერ ათევს...
რაღაც რომ მოხდეს, მომცრო ჯიხურში
ვერც იპოვნიან ძველ მესაათეს.
დროის ციფერბლატს ისიც გადაჰყვა,
მასაც შეეხო ჟამი ცბიერი...
ციფრებით დროთა გამომსახველი,
ისრებს განაგებს ლიუციფერი.
კედლის საათი ვეღარც კი არჩევს:
სად ცხადია და სად სიზმრებია...
უკვირს, ცხრისკენ რომ ისრებს გადასწევს,
რად არ არ მაღვიძებს ჩემი ბებია!
საათში ერთხელ ისევ დარეკავს,
სანამდის უცემს გული-ზამბარა
და მოგონებებს კვლავ გადმორეკავს.
როგორც მწყემსი ცხვრებს რეკავს მთა-ბარად.
მათთვის, ვინც კეთილს არ თესავს ქვეყნად,
ვინც სხვის ცხოვრებას უაზროდ ქექავს,
მათთვის, ვინც სულის არ იცის სევდა -
კედლის საათი რეკავს და რეკავს!

ნ. ერგემლიძე

თვითმფრინავი სტამბული-თბილისი
2010 1 მარტი

იუმორესკა

ისე წვიმდა ქალაქ ფოთს -
წყალი გასცდა კალაპოტს:
დაიტბორა მოედანი,
გვინდა ნოეს კიდობანი!
რადგან მგონი მოდის წარღვნა:
(არ მთავრდება ხალხის გარყვნა!)
ალბათ არც ღირს კვლავ წყლის ნაყვა,
წარსულს ნაღდი ხალხი გაჰყვა...
ეგებება აქ ზღვა რიონს...
ვერვინ შეცვლის გალაკტიონს!
ვერვინ შეცვლის გალაკტიონს!

ნ. ერგემლიძე

14, XII, 2010

ძველი „ტურბაზის“ მეხოტბეები

დამიჯერეთ ტურბაზას,
უკან მოსდევს რუსთ ბაზა!
თუმცა..
რატომღაც ყველა ტანიას,
ძალიან კარგი ტანი აქვს!

ადამიანი

ადამიანი ჰქვია არსებას,
რომელიც ცხოველს არ ემსგავსება

ეზიდები

მაგრები ვართ ეზიდები...
პიანინოს ვეზიდებით!

მობილური სიყვარული

მომკლა შენმა მესიჯებმა,
პულსი აღარ მესინჯება!

მხატვარი

მხატვარი ვარ რენუარი...
ხომ არ გიშლით პენუარი?

სერგი კაკალაშვილს ჟურნალ „ცისკარის“ აღორძინების გამო

ეს რა კარგი ნერგი,
გაახარე სერგი!

პარიზი

ოცნების ქალაქი მქონდა: პარიზი!...
ჩავედი, ვნახე, ახლა არ ვიცი...

ტელევიზია

როდესაც გვქონდა სულ ერთი არხი,
მშვიდად ცხოვრობდა ქართველი ხალხი!

პერი

პიპინიაა პერიფერია,
თუ ქუთაისი პერიფერია?!

ქართველები ევროპაში

როს დავტოვეთ ძმებო ვენა,
დამშვიდდა და დაისვენა!

მომავალი

ღმერთმა ნუ ჰქნას მომავალი,
იქცეს სიტყვად „მომე ვალი“

წამალზე დაჭერილის ლექსი

შპრიცს ვეძებდი „ლომკაში“
მოვხვდი „მიშალოვკაში“.

მადრიდი

გახსენდება მადრიდი,
დონ-კოხოტს რომ მადრიდი?!

სამოთხე

სამისა და ოთხის ჯამი
როგორც ვიცით შვიდია,
ვინც სამოთხის ბინადარი
უნდა გახდეს... მშვიდია!

უბერებელი ვაზი

უბერებელი ვაზი ვარ,
ახალი ფარნავაზი ვარ,
მთელ საქართველოს ვაზივარ!

7 ნოემბერი

დღეს 7 ნოემბერია,
ტრიბუნასთან დგას ბერია:
გავიგებთ - ვისი ჯერია!

***

ფილოსოფიის საგანი:
თბილისს უხდება საკანი?

საქართველოს ბუნება და ეკონომიკა 90-იან წლებში

ავიარეთ რიკოთი!..
გამოდღლეზილ ტრიკოთი!!!

რესტორანი „არაგვი“

ძმებო, ვისაც არა გვშია,
გელოდებით „არაგვშია!“

***

ცხოვრება რა რთულია,
როდესაც ქართულია!

ნიკალა

ეს პარიზელი დამა კარგია,

მთელი ცხოვრება დამაკარგია!

მასონი

მყის დაავიწყდა მას ონი,

როგორც კი გახდა მასონი.

***

ჩვენში რამდენიც არის პარტია

ზუსტად იმდენი ბონაპარტია!

საქართველო

საქართველო გაიხლიჩა:

აქეთ გოჩა, იქეთ ხვიჩა!

ნარდი

აბა სე! და აბა შაში!

გავაგოროთ აბაშაში!

მანავის მწვანე

სიტყვა იკადრა მან ავი

როდესაც შესვა „მანავი“.

***

ყველაფრის ფასი ნულია,

რაც არ არს ეროვნულია.

თემიდა

ჩაიქირქილა თემიდამ:

ისე ვსჯი, როგორც მე მინდა!

ბარბაროსი

რომს უტევდა ბარბაროსი,

რუსს ბარი-ბარ უდგას ოსი...

***

სადაც ბევრი ბანძია -

ნაღდი კაცი განძია!

„ტანძია.... ვარძია.... ტანძია...“

რომეო და ჯულიეტა

ჯულიეტამ თქვა, რომეო,

ამაღამ მოვა რომეო!

90-იანი წლების გახსენება

დღეში ორჯერ არ გაქვს დენი?

გაჩუმდი და... ა, ორდენი!

მუსტანგები, ანუ ველური ცხენები

როგორც ქარში ღრუბლები -

მივქრით თავისუფლები!

***

მახსენდება როცა,
მაგ თვალების ფერი,
მე შენს გამჩენს ვლოცავ,
მეტი - არაფერი!
ესტუმრები მგოსანს,
ქალი - თავად მუზა...
ზეცის სხივი გმოსავს,
ღელავ, გავხარ ლურჯ ზღვას...
მერე ცოტას მოვსვამთ,
(მოვა ღვინის ჯერი)
- ერთადერთი კოცნა!
მეტი - არაფერი.
კიდეც გავეხვევით,
ვნების გიჟურ ცეცხლში...
ადარავინ გვახსოვს,
სიყვარულის ეშხში!
ისევ ღვინოს მოვსვამ,
(მომწონს მისი გემო)
აქ ჩაუშვი ღუზა,
ჩემო თეთრო გემო!

2000

მხატვარი

ქუჩაში მიდის მხატვარი,
მას ჯერ ვერავინ ცნობს...
იცის, რომ არის უკვდავი,
ამას უბრალოდ, გრძნობს...
ქუჩამ ფერწერის რა იცის,
ყოჩებში ეძებს გმირს...
ასეა წუთისოფელი,
კაცის შეცნობა ჭირს!
ის სულ სხვა თვალით უცქერის მტკვარს,
და ეფერება საყვარელ ქალაქს...
ფიქრში აშენებს სხვებისთვის სახლს,
თვითონ კი - წლებით ნაგროვებ დარდს,
როგორც ჩვევია გულმართალ კაცს...
ყველასგან მალავს!
დაუსრულებელ ტილოზე,
შეჩერებულა დრო...
ისევ საღებავს აზავებს,
სული არდაღლას თხოვს
მხატვარს, რომელმაც გაიგო,
რას წარმოადგენს ბრბო,
ხატავს და ხატავს დღე და ღამ,
რომ ვერ შეეხოს დრო!

2008

ჩარლი

ვიწრო ქუჩა, შუქი ფანრის,
ფანრის შუქთან სძინავს ჩარლის.
ვერ იპოვა ვერსად ბინა,
ქუჩაშივე დაიძინა.
დაიძინა შუქთან ახლოს,
ვინმემ ხელი რომ არ ახლოს,
ვინმე ბრიყვმა და ოხერმა,
ვინმემ - მასზე უქონელმა.
თუმც კი რა აქვს მას ამქვეყნად?
დადის ბედი მოსაძებნად.
ესიზმრება თბილი პური,
სახლი, დედა დაჩაგრული.
არ ასვენებს კაცის ვალი,
ბუნდოვანი მომავალი,
მაგრამ როცა გაიღვიძებს,
მიზნისაკენ სვლა-გეზს იწყებს!
არც სმა ახსოვს, არც საჭმელი,
გასცვეთია ფეხსაცმელი.
გზა-გზა თუნდაც რა იტკინოს -
მაინც უნდა შექმნას კინო!
ყველამ უნდა გაიცინოს!
ყველამ უნდა გაიცინოს!

***

გარეთ თოვს და ბარდნის,
სიმღერას წერს ბარდი:
„გახსოვს, ერთი ნახვით
როგორ შემიყვარდი?“

გახსოვს, გიმღეროდი:
„მოდი, მოდი, მოდი!“
და შენ როგორ თრთოდი,
დამავიწყდა, როდი!
მაგ თვალების ფერით
ვიგრძენ ყველაფერი...
ჩემო კარგო მერი,
დადგა ჩვენი ჯერი...
წამი სანატრელი,
ჩვენს შეხვედრას ელის...
ეს ხომ ოცნებებში
სულ არ არის ძნელი!
თმა თეთრდება დარდით...
დრო ცხენივით გარბის...
სიმღერას წერს ბარდი,
გარეთ თოვს და ბარდნის!

15.12.2010

***

მატერებელი გავიდა...
წარსულისკენ ჰქრის...
ბილეთებს ვიღებთ თავიდან
უკვე გავლილი გზის...
ვიღაც კუპეში წამოწვა,
ვიღაც „ტამბურში“ ზის...
ვიღაც თვლემს, ვიღაც არაყს სვამს,
ვიღაც აკვნესებს სიმს.
რას იზამ რას? გახედე გზას!

რას ნაღვლობ, ვინ რამდენს
იხდის მგზავრობის ფასს?!
ეს გზა რაღაცას მაგონებს,
გზა-გზა სიმღერებს ვთხზავ...
სხვადასხვა კლასის ვაგონებს
მაინც ერთი აქვთ გზა!
და თუ მინორულ შუქებში
ქალს მოინატრებ ვნებიანს,
იქვე, მეზობელ კუპეში,
სტუდენტი გოგონებია!
უმღერე ქალს! ეს უყვარს მას!
სიმღერა ავიწყებს ყოველგვარ დარდს!
მატარებელი გავიდა...
წარსულისკენ ჰქრის...

2000

თამუნია

როგორც გედის გარინდება,
ნაპირიდან გადის გემი...
„ყველაფერი დაბრუნდება“
უდარდელად ვიღაც მღერის...
ახლა, როცა მაგონდები,
ახლა, როცა სიზმრად გხედავ,
ნაღვლიანი აკორდები
მახსენებენ ნაცნობ სევდას...
მარჩიელობს თუთიყუში,
ბოშა ქალი ენამზეობს,
კუთხეში კი ვიღაც რუსი

გრძნობით უკრავს აკარდეონს...
უდარდელი გამვლელები
ქუდში ხურდას ჩაუყრიან...
შენ კი აღარ მავიწყდები,
თუმც რამდენ დროს ჩაუვლია!
თამუნა, თამუნია!
ფიქრებში გართულია...
თამუნა, თამუნია!
უშენოდ რა რთულია!...

***

ოცნებათა რიგში ვდგები,
მალე ქუჩებს დაათოვს...
„მიაწოდეთ ეს ვარდები,
ლურჯთვალება ქალბატონს“
იგი მიდის სხვა მხარეში,
გემიც გაშლის იალქანს...
ვიღაც დარდიმანდის ეშხით
გაჰყოლია ნიავქარს.
მიდის, მაგრამ უხილავი
რაღაც ძალა აკავებს...
აღარა აქვს ბრძოლის თავი,
ბედს მიანდო სადავე!
კარუსელი ბრუნავს ბაღში,
ვიღაც იძრობს ხელთათმანს...
„ჭაღარა გაქვთ უკვე თმაში
არ გაცივდეთ, გეთაყვა!“
ქარი არხევს ობოლ ჭადარს,

ქარი - ხეთა ჯალათი...
ფოთოლივით ჭკნება სადღაც,
სიყვარულის ბარათი!
საათის ხმა სულს აშფოთებს:
„თუ გიშველის - მხოლოდ ის!“
რა გაუძლებს, რა გაუძლებს
უსასრულო მოლოდინს?!

1987

კიბე

ლექსის თემა არ ილევა,
იყო და არც იყო რა...
ბრძენი იყო, ვინც პირველმა
კიბე გამოიგონა!
და აუყვა კიბე-კიბეს
დინჯად მოდგმა ადამის:
ყველა მაღლა-მაღლა იწევს
დაბლა ნებით არ ჩადის.
არის კიბე ხის და რკინის,
არის კიბე ბეტონის...
ზოგი კიბე თვითონ მიდის,
უნდა მხოლოდ ჟეტონი!
მაღლა ვინც კი მოექცევა,
აღარავის იკარებს.
ძმაკაცი მტრად ეჩვენება,
(ღმერთო! შენ დაგვიფარე!)
გემის კიბე ვინ არ იცის,
გემის კიბე ტრაპია!
ვინ დაითვლის კიბეებზე,

დღეს რამდენი ტრაკია!
მაგრამ ძმებო, ნუ იჩქარებთ!
არის კარგი იდეა!
სუყველაზე სანდო კიბე
პარლამენტის კიბეა!
P.S. დიოგენი ლამპრით ხელში,
კაცს ეძებდა მგონია...
თუმცა, მის კასრს თავის დღეში
კიბე არა ჰქონია!

1999 წ.

მატარებელი

კიდევ ერთმა სახლმა ჩამიქროლა,
ერთმა ხიდმა - ერთმა ხემ...
მთვარე მომდევს, მთვარეს ვეღარ გავუსწარი,
მთვარეს ვერსად დავემალე ჩემმა მზემ!
ეს ღამე კი ურემივით მიზოზინებს,
გათენებას არ დაადგა საშველი...
მთვარე მომდევს, მთვარემ იცის - სადაც ჩავალ,
მე იქედან არსად არ ვარ წამსვლელი!
არ სჩვევია ობლად რომ მიმატოვოს!
ორივენი ვართ ოცნების მძებნელი...
ერთად მივქრით ბედის მატარებელში
მე და მთვარე -
ჩემი გამცილებელი!

ნ. ერგემლიძე
19.02.2009

რომელი წელია!

ქუჩებში ბევრი, ბევრი „ვოლგები“
ქალები ფერად, ჩინურ ქოლგებით.
„მინი“ კაბებში ქერა „ნაშები“
იტალიური „პლაშებით.“
ო, ნეტა ვინ იგონებს ამ მოდებს,
ხალხს უკვე როკენ-როლი აბოდებს!
აცვიათ „კაუჩუკის ბუგები,“
აღარ სურთ პარტიის ლოზუნგები!
რომელი წელია, რომელი წელია,
ახლა და აქ?
ხალხი სტადიონს დღესაც გაავსებს,
მესხი ხუთ დამცველს ისევ „დააწვენს“
და ბურთი გაეხვევა ბადეში,
მსაჯი კი ჩავარდება „შავ დღეში“!
კრემლს უნდა ქართველების წაგება,
მათ არ სურთ ჩვენი ერის გაგება...
ისინი სუყოველთვის გვჩაგრავენ,
თვითონ კი ამერიკას ლანძღავენ!
დღეს ბაში-აჩუკია ჩოხაში,
ლეილა აბაშიძე მოდაში.
„ორერა” კარგად მღერის ოთხ ხმაში,
ნონა კი აშამათებს ორ სვლაში!
რომელი წელია? რომელი წელია?
ახლა და აქ?!

მუზა

მოფრინავდა მუზა
იისფერი ფთებით:
„ცუდს ნურაფერს უზამთ
გევედრებით!“
ნუ ესვრით თოფს,
ნუ ესვრით ქვას,
ვინმემ რომ ლამაზი
სიმღერა თქვას!
უსმინეთ მუსიკას!
ნუ ერჩით მას!“
ნუ ჩაკლავთ გულებში
ღვთაებრივ ხმას!
თითქოს არვის უთქვამს,
გააგონებ ვის?
ვიღაც შეწვდა მუზას -
ჩამოსვა ძირს!
მიწაზე ხომ
ვერ გაშლის ფრთას,
და ვეღარ გადმოსცემს,
ღვთაებრივ ხმას!

***

გულს სურს ერთადერთს მიაგნოს,
დაეძებს თავის მსგავსს...
ჰგავს მარტოხელა იადონს,
სიმღერით უხმობს მას...
სულში სინათლე იღვრება...
მადლი ანათებს სულს...
ღმერთის ენაა სიმღერა,

მისი მოსმენა მსურს!
რადგანაც თვითონ სიმღერა
აცოცხლებს სიყვარულს...
გულმა თუკი არ იმღერა -
რა ეშველება გულს?
გული მღეროდეს, მუდამ მღეროდეს!
არ ბეზრდებოდეს! არ ბერდებოდეს!
გული გალობდეს, ასე ამბობდეს:
„სიყვარულის მზე თავს დაგვნათოდეს“!

აღდგომა

გოდერძი ჩოხელის ხსოვნას

მახსოვს, ჩოხელის „აღდგომა“
ვნახე, მომადგა ცრემლები...
კრწანისზე ქარი დაჰქროდა,
არ სჩანდნენ არაგველები...
- არაგველებო, სადა ხართ?
- სადა ხართ არაგველებო!
- თქვენც ქართლის ბედზე ტიროდით,
ჩემო უმწეო ცრემლებო!

დროის მანქანა

რადიო ჩავრთე და მომეფინა
მივიწყებული ტკბილი ჰანგები...
თვალწინ გაცოცხლდა ცხოვრება წინა,
თავსგადამხდარი ჭრელი ამბები...
წარსულისაკენ მან გამაქანა,
გული გამითბო და ამიძგერა...
ყველაზე კარგი დროის მანქანა -
არის სიმღერა!
ჰა, ამოძრავდა ოცნების ძრავა,
მისი ხმაა თუ სისხლი ხმაურობს?
მაშ, გავეშუროთ ყველანი ერთად -
სიჭაბუკეში სამოგზაურად!

1 მაისი, 2010

***

საინტერესო თუ იცი, რაა?
გადასალახი მაღალი მთაა,
გადასაცური მღელვარე ზღვაა...
გადასაგდები გულიდან ქვაა,
ამოსაღები სულიდან ხმაა...
გადასარჩენი მოყვასი, ძმაა,
მომავლისათვის დარგული ბზაა,
იმ აზრის წვდომა, რომელიც ღრმაა...
უცხო ტომელთან ძმობის გაბმაა,
ნიჭის წინაშე თავის დახრაა...
გზების გაკვალვა - ვინაც რომ ბრმაა,
ალალი რჩევა - ვინაც რომ ყრმაა...
ძმათა ქეიფში სიმღერა, სმაა,
ცით მოწყვეტილი ლექსების თქმაა...
სიტყვის და საქმის თავის დადგმაა,
უსწორმასწორო ცხოვრების გზაა...
საინტერესო თუ იცი, რაა?

ნუგზარ ერგემლიძე

11.01.2011

* * *

ისე დააცხრა ფალოსს სოფია
სულ დამავიწყდა ფილოსოფია!